

საქართველო



იმისთანა წმინდა საცმეში, ბოგბოღი ბუჭე-
უჭი სიფყვას, ცუდილებით და ჭიბრებით ბუჭ-
თის გაფანა ყულა უჯადისთბაჭე უსამაგლესია.



გაგონის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

შაბათი-კვირა, 8-9 თებერვალი. 2020 წ. №23 (8949)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თეთრი



ღირსმსახურები ქართულ მიწა-წყალს,
რაი გადარდებს?
გასწიე იგი „ნიკოფსიითგან დარუბანდამდე“...

„ერთი სამუბლო“, „გაერთიანებული სახელმწიფო“!



ბინჯვით დაპითობაზე!

ჩვენ დიდი სურვილია, დამკვიდრე-
ბული გრადიციის შესაბამისად, როგორც
დიდი ეროვნული დღესასწაული, აღინიშნოს
დავით აღმაშენებლის დღე – 8 თებერვალი.
მეცნიერთა დიდი ჯგუფი, დიდი ხანია, ვმუ-
შაობთ ამ საკითხებზე. სწორედ ეს გან-
წყობაა ჩადებული იმ წერილში, რომელსაც
აქ ვაქვეყნებთ და რომელიც უკვე დაეგ-
მავნა ხელისუფლების პირველ პირებს, მე-
დიის საშუალებებს, პოლიტიკურ პარტი-
ებს. დარწმუნებული ვართ, რომ მიიღე-
ბენ მეცნიერთა წინადადებას და გელათში
მაინც ვიქნებით ერთად. დიდი მადლობა
ყველას, ვინც შემოგვიერთდება.

ბატონებო,
გვაქვს პატივი, მეცნიერთა დიდი გუნდის
სახელით, რომელთაც შექმნეს ქვეყნის გან-
ვითარების კონცეფცია „გზა ცივილიზებული
სახელმწიფოსკენ“ და პროგრამული დოკუ-
მენტი „ახალი განზომილება – რა შევცვა-
ლოთ, რომ გადავრჩეთ“, მოგიწვიოთ მეც-
ნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთობლივ
კონგრეს-სესიაზე, რომელიც გაისხნება სა-
ქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია
მეთრის ლოცვა-კურთხევით 2020 წლის 8 თე-
ბერვალს, დავითობას, გე-
ლათის აკადემიის ისტორი-
ულ კედლებში 14.00 სთ-ზე.

იხ. 7 გვ.



ბიძინა ივანიშვილი და ეკატერინე სვლეტიკა აშშ-ის ელჩს და მის მეუღლეს უმასპინძლეს

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკ-
რატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილ-
მა და მისმა მეუღლემ ეკატერინე სვლეტიკემ საქართველოში
ახალდანიშნულ ელჩს კელი დეგნანს და მის მეუღლეს დუგლას
მორისს უმასპინძლეს.

ბიზნეს ცენტრში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც გაც-
ნობითი ხასიათის იყო, ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებ-
ზე, აშშ-საქართველოს შორის სტრატეგიულ პარტნიორო-
ბასა და სამომავლო თანამშრომლობაზე ისაუბრეს.

ალამ კიზინბერი:

ყველაფერი
უნდა გაკეთდეს
დემოკრატიის
იმ დონის
უზენაესი უნებლად,
როგორც
საქართველოში დიდი
ხნის მანძილზე იყო!



3

სახალხო დამცველი თუ სახალხო გაყვლეფი?!



როცა
სახალმწიფო
არ იხის,
ვინი ურობა
როგორ
დააფასოს!

5

„პანკისური ტერორისტები არიან“!

4



დიდი რისკია
იმაში, რომ
პოლიტიკოსებმა
პოლიტიკური
თავაზები
დაიწყეს
ტერორიზმის
თავის
გარეშე...

ადამ ქიზინგერი: ყველაფერი უნდა გაკეთდეს ღებოქრების იმ დონის შესანარჩუნებლად, როგორც საქართველოში დიდი ხნის განსაკუთრებით იყო.

კონგრესმენების მხარე წერილების შემდეგ, ვაშინგტონში „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნების სამთავრობო ვიზიტები დაიწყო.

საგარეო საქმეთა მინისტრის დავით ზალკალიანის ვიზიტის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძე სასწრაფო წესით კონგრესმენებს შეხვდა.

თალაკვაძის პირველი შეხვედრა კონგრესმენ ადამ ქიზინგერთან შედგა. ქიზინგერი იყო სწორედ ის პირველი კონგრესმენი, რომელმაც პირველი მხარე წერილი ოფიციალურ თბილისის გამოუგზავნა.

როგორც შეხვედრის შემდეგ კონგრესმენმა ქიზინგერმა განაცხადა, მათ საქართველოს მთავრობასთან გაცილებით მეტი კომუნიკაცია აკავშირებთ, ვიდრე სხვა დანარჩენ პოლიტიკურ მხარეებთან და ამასთანავე დასძინა, რომ „ყველაფერი უნდა გაკეთდეს ქვეყანაში დემოკრატიის შესანარჩუნებლად, იმ დემოკრატიის, რომელიც საქართველოში დიდი ხნის მანძილზე იყო“.

„ჩვენ ქართველი ხალხის ერთგული ვართ. ჩვენ გვქონდა ძალიან კარგი კომუნიკაცია იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, რაც გვანახებდა და იმედი მაქვს, რომ მალე ვნახავთ შედეგს. ჩვენ მთავრობასთან უფრო სწრაფად გვაქვს კომუნიკაცია, ვიდრე სხვა დანარჩენთან. ჩვენ ვხედავთ ამ შემთხვევების მიზეზს და გამოვხატავთ მას; თუმცა, ეს ჩვენი შემთხვევა არ უნდა იყოს ალტერნატიული,“



როგორც იმედგაცრუება ან ბრაზი. ეს უნდა იქნას ალტერნატიული, როგორც მეგობრებს შორის ურთიერთობა. ჩვენ საქართველოს როლს ვხედავთ, როგორც ძალიან მნიშვნელოვანს ჩვენი მომავალში. ვფიქრობ და იმედი მაქვს, რომ საქართველოც ასევე ხედავს ამერიკის შეერთებულ შტატებს. მთავრობასთან გაცილებით მეტი კომუნიკაცია გვაკავშირებს, ვიდრე რომელიმე სხვა მხარესთან. ჩვენ ვხედავთ გარკვეულ საკითხებს, ვმსჯელობთ მათზე,

თუმცა, ჩვენი პოზიციები, რომლებიც არსებულ საკითხებს ეხება, არ უნდა გავიზაროთ ისე, როგორც გაბრაზების, ან განაწყენების გამოხატველი გზავნილები, არამედ, როგორც მეგობრებს შორის ჯანსაღი ურთიერთდაზოკიდებულების გამოხატველი შესტი. ჩვენ საქართველოს ჩვენი სამომავლო გეგმების ძალზე მნიშვნელოვან ნაწილად მოვიზარებთ და იმედი მაქვს, საქართველოსაც იგივე ექნება სათქმელი ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ. ამრიგად, აღნიშნული გზავნილები ჩვენი დამოუკიდებელი და ობიექტური მოქმედების შედეგი უფროა, ვიდრე რაიმე სახის გზავნილება,“ – განაცხადა კინზინგერმა.



ირაკლი შოთაძე გენერალური პროკურორის კანდიდატია

საპროკურორო საბჭომ ფარული კენჭისყრის შედეგად საქართველოს გენერალური პროკურორის კანდიდატად ირაკლი შოთაძე შეარჩია.

საპროკურორო საბჭოს არჩევანის გაკეთება ოთხ კანდიდატს შორის მოუხდა, კერძოდ, გენერალური პროკურორის კანდიდატები იყვნენ ვალერიან ვაჭარაძე, დარიკო თორდია, ირაკლი შოთაძე და სოფიო შენგელია.

საბჭომ ირაკლი შოთაძე 11 ხმით აირჩია. სოფიო შენგელიამ საბჭოს წევრთა ერთი ხმა აიღო.

საპროკურორო საბჭოს 13 მოქმედი წევრი ჰყავს. დღეს კენჭისყრაში მონაწილეობა საბჭოს 12-მა წევრმა მიიღო.

ირაკლი შოთაძის კანდიდატურა საქართველოს პარლამენტს წარედგინება. საკანონმდებლო ორგანოში მთავარი პროკურორის დამტკიცება ხმათა უმრავლესობით მოხდება.

გენერალური პროკურორის კონკურსში საერთო ჯამში 17 კანდიდატი მონაწილეობდა, თუმცა ორმა პირადი განცხადებით საკუთარი კანდიდატურა მოსწონა. ირაკლი შოთაძე საქართველოს მთავარი პროკურორის თანამდებობის კანდიდატად 2015 წლის 27 ნოემბრიდან იკავებდა. შოთაძემ მთავარი პროკურორის თანამდებობა 2018 წლის 31 მაისს დატოვა. მან პროკურატურაში მუშაობა 2006 წლის მარტიდან დაიწყო და 2010 წლის სექტემბრამდე სხვადასხვა თანამდებობას იკავებდა.

ეკონომისტები აცხადებენ, რომ ჩინეთის ეკონომიკას მკაცრი დარტყმა ემუქრება, რადგან წარმოებისა და სერვისის ინდუსტრიების საკმაოდ დიდი ნაწილი დახურულია.

ახალი კორონავირუსის გამო, რომელიც ჩინეთში გაჩნდა და 25-მდე ქვეყანაში გავრცელდა, ციქვეშეთში სრულად ან ნაწილობრივ დახურეს საკუთარი დაწესებულებები ისეთმა კორპორაციებმა, როგორცაა Apple, Google, IKEA, Burger King, Hyundai, Swatch. აშშ, ევროპისა და აზიის სახელმწიფოები ახალი რეგულაციებით ცდილობენ, აღკვეთონ ვიზიტები ჩინეთიდან. 40-ზე მეტმა ავიაკომპანიამ, მათ შორის, American, Delta, United, Lufthansa and British Airways, გააუქმა ფრენები ჩინეთის მიმართულებით.

ახალი კორონავირუსის თავიდან არიდების მიზნით ჩინეთთან პირდაპირი ავიამოსვლა დროებით შეაჩერა საქართველომაც. ასევე, აიკრძალა ჩინეთიდან საქართველოში ცოცხალი ცხოველების, კერძოდ, დეკორატიული კუებისა და თევზების იმპორტი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია, რომელთანაც ტვირთბრუნვა მილიარდ დოლარს აჭარბებს. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობებზე დაწესებულ შეზღუდვებს, სავარაუდოდ, გავლენა ექნება საქართველოს ეკონომიკაზეც.

ეპიდემიების დროს ერთ-ერთი სფერო, რომელიც ყველაზე მეტად ზიანდება, სერვისია – ტრანსპორტი, სამგზავრო გადაზიდვები, რაც პირდაპირ უკავშირდება ტურისტულ ინდუსტრიას. ამასთან, საქართველოში ჩინელი დამსვენებლების რიცხვი საკმაოდ მცირეა. ოფიციალური მონაცემებით, 2019 წელს საქართველოს 50 ათასამდე ჩინელი ტურისტი ეწვია, 2018 წელს კი – 32 000-მდე.



საქართველოსა და ჩინეთს შორის ფრენების აკრძალვა ხელს უშლის ზაზა პარტემიშვილს, რომელსაც დაახლოებით 7 წელია, ჩინეთიდან ბავშვის სათამაშოები ჩამოაქვს და საქართველოში ყიდის. ის ყოველწლიურად, საშუალოდ, სამჯერ ჩადის ჩინეთში, ხოლო 4-5 კონტეინერი საქართველოში ეტაპობრივად ჩამოდის და თითოეულის თვითღირებულება დაახლოებით 25-35 ათას დოლარამდეა.

ზაზა რადიო „თავისუფლებას“ უყვება, რომ ახალი წლის გამო პროდუქცია თითქმის სრულად გაიყიდა, ამიტომ იანვარში საქმიანი ვიზიტით ჩინეთში უნდა წასულიყო, მაგრამ ფრენების აკრძალვის გამო წასვლას და საქონლით მომარაგებას ვერ ასწრებდა.

„სამწუხაროდ, ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა მომხმარებლები შემოდინა და კითხულობენ: „ეს ჩინურია? კორონავირუსი სჭირს?“ ფაქტია, რომ ინფორმაცია არ აქვს მოსახლეობას, რომ

ვირუსი გადადის ჰაერწვეთოვანი გზით და არა პროდუქციით.“ ზაზა რადიო „თავისუფლებას“ ეუბნება, რომ საბანკო ვალდებულებებთან გამკლავებას კიდევ სამი თვე თუ შეძლებს, თუმცა ფიქრობს, რომ სიტუაციის დასტაბილურებას კიდევ 6 თვე დასჭირდება.

საქართველოს ელჩი ჩინეთში არჩილ კალანდია რადიო „თავისუფლებასთან“ ამბობს, რომ კორონავირუსი, სავარაუდოდ, არც ისე პოზიტიურ შედეგებს გამოიღებს საქართველო-ჩინეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, „მაგრამ ახლა ამ ეტაპზე რაიმე სახის ზარალზე საუბარი ძალიან ნაადრევია.“

„უნდა ველოდოთ, რომ შეფერხება იქნება“, – ეუბნება რადიო „თავისუფლებას“ დავით აფციანური, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორი, ყოფილი ელჩი ჩინეთში, ეკონომიკის დოქტორი და განვარდობის „მაგრამ არა ინტერესის კლე-

ბის გამო, არამედ იმიტომ, რომ კონტაქტები შეიზღუდება ბიზნეს წრეებს შორის. ვინაიდან აქტიური საქმიანობიდან გამოთიშული იქნებიან ჩინელი ბიზნესმენები.“

აფციანური განმარტავს, რომ, თუ უახლოესი 2-3 თვის განმავლობაში კორონავირუსის ლოკალიზება მოხდება, მაშინ საქართველოსა და მსოფლიო ეკონომიკაზე ეპიდემიის დიდი ზეგავლენა არ ექნება, ხოლო, თუ არაფერცტური აღმოჩნდა ლონისძიებები, რომელთაც მთელი მსოფლიო ატარებს ამ დაავადების შეჩერებისთვის, შედეგები ნამდვილად გაცილებით მძიმე იქნება.

„წინასწარი მონაცემებით, თუ ჩინეთი იზოლირებული იქნება 2-3 თვით, მაშინ 1%-მდე შეიძლება მოხდეს GDP-ის ვარდნა მსოფლიოში, ჩინური ეკონომიკის ჩათვლით. აქაც არ უნდა იყოს ძალიან დიდი დარტყმა“, – ამბობს აფციანური.

იგი ხაზს უსვამს სავაჭრო-ეკონომიკური კონტაქტების შეფერხებას, როგორც საკვანძო საკითხს და ამბობს, რომ ბიზნესზე ცუდად მოქმედებს ისიც, რომ ჩინელი პარტნიორების უმეტესობა იზოლირებულია და მხოლოდ სახლიდან მუშაობა შეუძლია. მეორე ფაქტორი კი ფსიქოლოგიურია: „ადაშიანები ელიან, როდის დასრულდება ეს ყველაფერი და ამის გამო შეიძლება, შენედეს ან არ იყოს აქტიური საქმიანი ურთიერთობები.“

ძირითადი პროდუქტები, რომლებიც ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირდება, სამომხმარებლოა. „თუ საერთაშორისო კორპორაციები ჩინეთში წარმოებას შეაჩერებენ, ჩვენი მარაგები ჯერჯერობით საკმარისია, რომ მოხმარება ქართულ ბაზარს“, – ამბობს დავით აფციანური და ამბობს: „გარდა ამისა, ჩინეთის გარდა სხვა ქვეყნებშიც არის წარმოება.“



ტრამპმა ბოროტი პლაქატი მიწასთან გაასწორა!

იმპიჩმენტის პროცედურის ჩავარდნის ფონზე, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი დემოკრატიული პარტიის წევრებს მკაცრად აკრიტიკებს. მან მანკიერ და ბოროტ ადამიანებად მოიხსენია წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ნენსი პელოსი და დემოკრატიული პარტიის სხვა წარმომადგენლები, რომლებიც იმპიჩმენტის პროცესს ხელმძღვანელობდნენ.

„ეს მანკიერი ხალხია. ადამ შიფი ბოროტია, ის საშინელი ადამიანია. ნენსი პელოსი საშინელი ადამიანია. მას ჩემთვის იმპიჩმენტის წაყენება დიდი ხანია, უნდოდა. როდესაც მან თქვა, რომ პრეზიდენტისთვის ლოცულობდა, ის არ ლოცულობდა. ის შესაძლოა, ლოცულობს, თუმცა საპირისპიროდ. თუმცა, ეჭვი მეპარება, საერთოდ ლოცულობდეს. ისინი საშინელი ხალხია“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა. აშშ-ის პრეზიდენტმა გაიხსენა ე.წ. კუდიანებზე ნადირობა, რომელიც ადმინისტრაციაში მისი მოსვლისთანავე დაიწყო და ამ დრომდე მიმდინარეობს. დონალდ ტრამპის თქმით, მას და პირველ ლედის ბევრი ისეთი სირთული გადალახვა მოუწია, როგორც სხვა არც ერთი პრეზიდენტის წინაშე გამომწვევად არ დამდგარა. დონალდ ტრამპმა ასევე მადლობა გადაუხადა მის თანამებრძოლებს იმპიჩმენტის პროცედურის განმავლობაში განეული ძალისხმევებისთვის.

„კლ-ქაიდას“ ლიდერი ლიკვიდირებულია

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავიაიერიშის შედეგად არაბეთის ნახევარკუნძულზე ალ-ქაიდას ლიდერის ქასიმ ალ-რაიმის ლიკვიდაცია განახორციელა. იერიში ჯიჰადისტების ლიდერზე იემენში განხორციელდა. ამის შესახებ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, თუმცა მას არ დაუყოვნებლივ კონკრეტულად როდის ჩატარდა ოპერაცია.



იემენის ადგილობრივი მედიის ცნობით, ავიაიერიში მარბის პროვინციაში 25 იანვარს განხორციელდა. როგორც გამოცემა „ვოლ სტრიტ ჯორნალი“ წერს, დროებით თავდასხმა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს არ განუხორციელებიათ, ის, საერაუდოდ, დაზვერვის ცენტრალურმა სააგენტომ დაგეგმა. თუმცა, ამის შესახებ სააგენტოში კომენტარს არ აკეთებენ. ქასიმ ალ-რაიმი დაჯგუფების ამ შტოს 2015 წლიდან ხელმძღვანელობდა. მასზე ინფორმაციის საწარმოოდ სახელმწიფო დეპარტამენტს 10 მილიონი დოლარის ოდენობით ჯილდო ჰქონდა დანესებული.

განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ირაკლი ლაგვილაგას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ირაკლი ლაგვილაგა (პ/ნ 39001009803), ქ. სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. 39, სართ. 8, ბინა 23. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. 39, სართ. 8, ბინა 23 (საკადასტრო კოდი: 44.01.04.109.01.023). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
 2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 7616.57 ლარი.
 3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2020 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
 4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2020 წლის 21 თებერვალი, 14:00 საათი.
 5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP64863420; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 648634
 6. მოვალე: ირაკლი ლაგვილაგა (პ/ნ 39001009803), ქ. სენაკი, ი. ჭავჭავაძის ქ. 39, სართ. 8, ბინა 23.
 7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
 8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP64863420; ლოტის ნომერი: 648634). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 21 თებერვლის 10:00 საათამდე.

განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ელიზა ლაგვილაგას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ელიზა ლაგვილაგა (პ/ნ 61301094430), ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ. 41. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ. 41 (საკადასტრო კოდი: 43.31.59.133). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
 2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 18725.94 ლარი.
 3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2020 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
 4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2020 წლის 21 თებერვალი, 14:00 საათი.
 5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP64868420; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 648684
 6. მოვალე: ელიზა ლაგვილაგა (პ/ნ 61301094430), ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ. 41.
 7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
 8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP64868420; ლოტის ნომერი: 648684). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 21 თებერვლის 10:00 საათამდე.

განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს თინათინ ტატიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: თინათინ ტატიაშვილი (პ/ნ 01019076431), ქ. თბილისი, სადმელის ქ. №34/ქ. თბილისი, სანდრო მირიანაშვილის ქ. 95, სართული 1, ბინა 16, ბლოკი 33. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. თბილისი, სანდრო მირიანაშვილის ქ. 95, სართული 1, ბინა 16, ბლოკი 33 (საკადასტრო კოდი: 01.10.07.009.001.04.016). უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
 2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 17052.25 ლარი.
 3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2020 წლის 7 თებერვალი, 14:00 საათი.
 4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2020 წლის 21 თებერვალი, 14:00 საათი.
 5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP64866520; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 648665
 6. მოვალე: თინათინ ტატიაშვილი (პ/ნ 01019076431), ქ. თბილისი, სადმელის ქ. №34/ქ. თბილისი, სანდრო მირიანაშვილის ქ. 95, სართული 1, ბინა 16, ბლოკი 33.
 7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
 8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP64866520; ლოტის ნომერი: 648665). ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2020 წლის 21 თებერვლის 10:00 საათამდე.

64

მაიას ჩვიდმეტი გაზაფხული...

შემთხვევითი არ არის, რომ გამოჩენილი დიდოსტატის მაია ჩიბურდანიძის და საქართველოს ქალთა ნაკრების დამსახურებული მწვრთნელის, ან გარდაცვლილ ედუარდ გუფელდის წიგნის (1980) სათაური წარვუძღვარე საგაზეთო წერილს.



17 წლის მაია ჩიბურდანიძე მე-6 მსოფლიო ჩემპიონია ჭადრაკის ისტორიაში (1978). იგი მსოფლიოს ხუთგზის დაფნის გვირგვინოსანია და ამ მხრივ წამოწვინა ჩვენ სასიქადულო ნონას, რომელიც ასევე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონია და ამით ამ ორმა დიდებულმა ქალბატონმა ათჯერ დაისაკუთრა მსოფლიოს ყველაზე სასიქადულო ტახტი.

ლო დაეძლია მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილთან (1978) და ისეთ ცნობილ მოჭადრაკეებთან, როგორებიც არიან: ირინა ლევიტინა (1984), ელენა ახმილოვსკაია (1986), ნანა ალექსანდრია (1981) და ალა კუშნირი (1977) წელს პრეტენდენტთა ტურნირის ფინალში.


მაიასთვის დამახასიათებელია სწრაფი და ზუსტი ვარიანტების გათვლები, აუღელვებლად იცავს თავს თითქმის უიმედო პოზიციებში, აქვს ბრწყინვალე ტექნიკა.

ყურადსაღებია მაიას კომენტარები საკომპოზიციო ხელოვნების მთელ რიგ ავტორთა ეტიუდებზე. ეს კარგად არის ასახული გია ნადარეიშვილის წიგნში „ეტიუდი დიდოსტატების თვალთ“ (1982).

მაია მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია. იგი დაჯილდოებულია ხალხთა მეგობრობის (1981) და შრომის წითელი დროშის (1985) ორდენებით.

თამაზ შავალია

მ. ჩიბურდანიძე – ა. როდრიგესი (ბარსელონა, 1979)



26. d6 კ: d6 27. ლc4 ჰg4
28. ლh4 ჰg8 29. კფ2 ჰc6 30. მf5
ლb7 31. ლc4 ჰg4 32. კფ3 ჰc5 33. ჰh4
მფ8 34. მქ4+ ჰფ8 35. მქ6+ ჰფ8
36. ლe6+ ღ:0

მსოფლიო ჭადრაკის ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი

თეთრების პოზიციური უპირატესობა ჩინებულად გამოიყენა მაიამ. დანარჩენი, რომ იტყვიან ტექნიკის საქმე იყო და შავები დანებდნენ.

ამადორ როდრიგესი (1957), კუბელი მოჭადრაკე, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. მაიას აზრით კაცებთან მეტოქეობამ საგრძნობლად აამაღლა მისი სათამაშო კლასი.

უცხო ხილი

უნივერსალები

ამ დღეებში ბაკურიანი თოვლის ფრენბურთში კონტინენტის ჩემპიონატის მორიგ ტურს მასპინძლობს საქართველოს, სლოვაკეთის, პოლონეთის, შვეიცარიის, რუსეთის, ლიეტუვას, რუმინეთის, სომხეთის, ბელგიის, საფრანგეთისა და იტალიის ვაჟთა 16 და ქალთა 8 ნაკრების მონაწილეობით.

იარეს, სადაც 10 გუნდთან (თითოეულში 4-4 მოთამაშე იყო) დავაში ყველა მეტოქე დამარცხეს და ტიტული თეთრ სარბიელზეც მოიპოვეს.



„რაზვი ევროპა“

ესპანეთი გაძლიერდა

სხალ „ბორჯღალოსნები“ რაგბი ევროპის ჩემპიონატის მეორე მატჩს მადრიდში, უნივერსიტეტის ცენტრალურ სტადიონზე თბილისის დროით 15:45 საათზე ესპანელი „ლომების“ წინააღმდეგ გამართავენ.

და წელს პირველად რაგბი ევროპის ჩემპიონატის მოგება შეუძლია, ამისათვის კი სვალ ფავორიტ „ბორჯღალოსნებს“ უნდა სძლიოს.

სანთელი

უკანასკნელი მოჰიკანი



გვულისხმობს იმ ბენდინერ წლებს, როცა საკავშირო მეორე ლიგის ბინადარ მახარაძის „მერცხალის“ საფეხბურთო გუნდის კაპიტანი შეკრებებს შორის პერიოდში დედუღეთში – ონში ახერხებდა ჩამოსვლას და მთელ სანათესავოს დაუფინყარ წუთებს გვჩვენებდა. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი იმ სამაგალითო ურთიერთობას, რაც მოგვიანებით მხოლოდ ჩვენს მესხიერებაში დაღეძილ განუმეორებელ ეპიზოდებში გადაიზარდა.

ნარკოტიკები


ლიტერატურული სარეკლამო კამპანია

უმიტანობას ასოვს ის დრო, როდესაც საქართველოს მკითხველი განებივრებული იყო ლიტერატურული ალმანახების მრავალფეროვანი სპექტრით. დიდი ტირაჟებით იბეჭდებოდა და მოთხოვნილებაც საკმაოდ დიდი იყო ისეთ პოპულარულ ჟურნალებზე, როგორებიც გახლდათ „ცისკარი“, „მნათობი“, „საუნჯე“, რეგიონალური ალმანახები საქართველოს ყველა კუთხეში გამოდიოდა და ტოლს არ უდებდა რესპუბლიკურ გამოცემებს. ბევრი მათგანი მხოლოდ ბიბლიოფილთა საგანძურს თუ შემორჩა, ბევრიგანაც უფროსი თაობისგან გვესმენია. გაუჭირდა გამომცემლობის საქმეს. ზოგიერთი ჟურნალი ყოველთვის ტირაჟიდან უსასწრობის გამო თითო კვარტალში გამოდიოდა და ბოლოს ყოველწლიურ კრებულად იქცეოდა, სამწუხაროდ, ბევრმა მათგანმა კონკურენციას ვერ გაუძლო.

რაოდენ სასიხარულოა, როდესაც ლიტერატურის მოყვარულთა შორის გამოჩნდებიან ისეთი ქველმოქმედნიც, რომელთა ინიციატივითა და ხელშეწყობით გამოდის ახალი ალმანახები. ერთ-ერთი მათგანია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამოცემა, შესანიშნავი ლიტერატურული ალმანახი „ხორნაბუჯი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც გახლავთ ბატონი გიორგი ნატროშვილი. იგი დედოფლისწყაროს ხელმძღვანელთა თანადგომითა და ხელშეწყობით უკვე მუხეტე წელია, გამოსცემს ალმანახს და მეტად დიდ მამულიშვილურ საქმესაა შექმნილი. ამას წინათ მკითხველმა ალმანახის მერვე ნომერი მიიღო.

ნომრის სტუმარი გახლავთ ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიის მღვდელმსახური, დედოფლისწყაროს სიონის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი ნიკოლოზი (ლომსაძე), რომელიც უკვე 20 წელია, ამ კუთხეს ემსახურება. მოძღვარმა კარგად უწყის, თუ რაოდენი ძალა აქვს ამგვარ გამოცემებს ადამიანის სულიერი საზრდოსთვის. აკი, ამბობს კიდევ – მინდა დაველოცო ყველა ის ადამიანი, ვინც ეხმარება „ხორნაბუჯის“ შემოქმედებით ჯგუფს, წყალობა და მადლი არ მოგაკლეთ ღმერთმა!

ჟურნალში ტრადიციული რუბრიკებით „პოეზია“, „პროზა“, „ახალი სახელები“, „პუბლიცისტიკა“, „საბავშვო გვერდები“, „თარგმანები“ გაეცნობით ისე-



თი შესანიშნავი შემოქმედების ახალ ნაწარმოებებს, როგორებიც გახლავთ თამარ შაიშველაშვილი, ფიქრია ყუშიბაშვილი, მარიკა პარნასელი, ვაჟა ოთარაშვილი, ეკა კვანტალიანი, ნუნუ ძამუკაშვილი, ეკა ჯავახიშვილი, გივი სომხიშვილი და მრავალი სხვა. მეტად საინტერესო ავტორებითაა წარმოდგენილი თარგმანის განყოფილება, სადაც უდიდესი მოაზროვნეების – ავიცე-

ნას, ხაყან შირვანელის, საადი შირაზელის ლექსებისა და რობაიების ქართულ თარგმანებთან ერთად ნახავთ ევროპელი და რუსი კლასიკოსების ნაწარმოებებს. აქვე გაეცნობით ჩვენი თანამემამულის, თურქულენოვანი მწერლის ქვესერ რუჰის (ქეთევან ხანთაძის) შესანიშნავ მოთხრობას „სიხარულის გარდა სხვა არაფერი“.

„დოდოფლისწყაროს ისტორიიდან“ დალი ბალაშვილის პუბლიცისტური წერილი „მთიელთა ჩამოსახლება შირაქში ვაჟა-ფშაველას თაოსნობით“ მოგვითხრობს ამ კუთხის ისტორიას მეთვრამეტე საუკუნიდან მეცხრამეტე საუკუნის მიწურულამდე.

მეტად საინტერესო მოგონებას გვთავაზობს ჟურნალისტი ნანა ჭიჭინაძე დიდი მანერის გიანჩელის სტუმრობაზე დედოფლისწყაროში, რომელიც დიდი შემოქმედის ხსოვნას ეძღვნება.

ჟურნალის გარეკანზე მოთავსებულია შესანიშნავი მხატვრის მელანო ზედელაშვილის ნამუშევრების ფოტორეპროდუქციები, ხოლო თავად შემოქმედის შესახებ ამჟამად ნომერში წაიკითხავთ.

ლიტერატურული ალმანახი „ხორნაბუჯი“ მართლაც შესანიშნავი საჩუქარია ქართველი მკითხველისთვის. ბატონ გიორგი ნატროშვილსა და მის შემოქმედებით ჯგუფს კი წინსვლასა და წარმატებებს ვუსურვებთ. მამუკა ვაშაძიძე

მსოფლიოს ულაპაჯესი კაცი

ბრიტანელი მსახიობის რობერტ პატინსონის გარეგნობა იდეალურად აღიარეს.



ასეთ დასკვნამდე ლონდონის კოსმეტიკური და პლასტიკური ქირურგიის ცენტრის ხელმძღვანელი ჯულიან დე სილვა მივიდა, რომელმაც პატინსონის და სხვა მსახიობების სახეები „ოქროს კვეთის“ პროპორციებს შეადარა. აღმოჩნდა, რომ 33 წლის მსახიობის სახე ამ პროპორციებს 92.15%-ით აკმაყოფილებს. მეორე ადგილზე გავიდა ჰენრი კავილი (91.64%), მესამეზე ბრედლი პუეტერი (91.08%). მეოთხე და მეხუთე პოზიციებს კი ბრედ პიტი (90.51%) და ჯორჯ კლუნი (89.91%) იკავებენ.

2019 წელს დე სილვამ ანალოგიური კვლევა ცნობილ ქალებს შორის ჩაატარა და ყველაზე იდეალური გარეგნობის მქონედ მოდელი ბელა ჰადიდი დაასახელა.

ლეგენდარული მომღერლის პროტესტი

ლეგენდარულმა მომღერალმა და მსახიობმა ლაიზა მინელიმ საკუთარ დედაზე გადაღებული ფილმის, „ჯუდის“ ნახვა არ ისურვა. მსახიობის თქმით, ფილმი არც მის დას ლორნა ლაფტს არ უნახავს.

„არ მაინტერესებს, როგორ თამაშობს რენე ზელვეგერი დედაჩემის როლს. იმედა, მან გადაღებებზე სიამოვნება მიიღო,“ – აღნიშნა მინელიმ. მის განცხადებას უკვე გამოეხმაურა ფილმის რეჟისორი რუპერტ გულდი. რეჟისორის თქმით, მისთვის დეების პოზიცია გასაგებია, თუმცა თუ ლაიზა და ლორნა ფილმის ნახვას მაინც გადაწყვეტენ, მიხვდებიან, თუ რა პატივისცემითა და სიყვარულით არიან ფილმის შემქმნელები განწყობილნი მათი დედის მიმართ. „ჯუდი“ ცნობილი მომღერლის ჯუდი გარლენდის ცხოვრების უკანასკნელ თვეებს ასახავს. მთავარი როლის შემსრულებელი რენე ზელვეგერი კი ოსკარზე საუკეთესო მსახიობი ქალის ნომინაციაზეა წარდგენილი.



ჯაზის ლეგენდებს თბილისი უმასპინძლებს

25-28 მარტს თბილისი რიგით 23-ე ჯაზ-ფესტივალს უმასპინძლებს. წლებგანდელი ფესტივალის მონაწილეები ისეთი მსოფლიო ვარსკვლავები არიან, როგორებიცაა ნ გრემის ჯილდოს მფლობელი საუკეთესო ჯაზ-ვოკალისტი დაიან რიფი, ჯაზის ლეგენდები კენი ბარონი, დეივ შოლანდი და ჯონათან ბლეიქი, ბრიტანეთის ამომავალი ვარსკვლავი, ევროპის საფესტივალო სეზონის ყველაზე მოთხოვნადი არტისტი აიანა უიტერ-ჯონსონი.

ტრადიციულად, წლებგანდელ ფესტივალში ჯაზ-ლეგენდებთან ერთად სხვადასხვა თაობის ქართველი ჯაზ-შემსრულებლებიც მონაწილეობენ. მსმენელის წინაშე უახლესი პროექტებით წარდგებიან ასევე გუჯა მარდინის კვარტეტი, ლუკა თოფურიას კვარტეტი, რეზო კიკნაძის სექსტეტი და გია რაქვიანიშვილის ტრიო.



მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკის მისამართი: აპოლონი 2-8612; პირი - 3.1479; ბრიტანული პირი სტარლინი - 3.7107; 100 რუბლი - 4.5314; თურქული ლირა - 0.4780; აპარატივული მანათი - 1.6850; 1000 სომხური დრამი - 5.9720.

Table with 4 columns: Category, Sub-category, Value, and another Value. Includes data for 'აპოლონი' and 'აპარატივი'.

დაგვიკავთ, მოგვწერეთ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84. ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge. ვებ-გვერდი: www.sakresp.ge

საქართველოს რესპუბლიკის საბჭოს სახელით. ბ. ჩიქოვას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5. ტელ: 296-72-86. მთავარი რედაქტორი: სპარტაკ ძოგულია. 599 36-00-35. პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიაშვილი 599 53-76-16; ალექო ასლანიშვილი 599 56-81-86; პასუხისმგებელი მდივანი: მამუკა ვაშაძიძე 514 33-33-24. გამომცემლობა: შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ 599 53-76-16; 599 36-00-35. შპს „თანამდებობა“-ს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79. იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორ პრესში“ რკინიგზის ჩიხი №20. uac(უაკ)070.4(479.22) ს-323. ISSN 2233-3851. 9 772 233 385 001. ავტორთა საყურადღებოდ! რედაქციის მიერ შუამდგომლობის საშუალებით დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შეხატობა, მუდამ არ ემთხვევა რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუხილავლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!